





1) მასწავლებელმა დაფაზე დაწერა ყველა ის ორნიშნა რიცხვი, რომელიც ბოლოვდება ერთიანით. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:


 ა) მასწავლებელმა რამდენიშნა რიცხვები დაწერა დაფაზე?
1) ერთნიშნა 2) ორნიშნა 3) სამნიშნა 4) ოთხნიშნა


 ბ) რა ციფრით ბოლოვდება, მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი თითოეული რიცხვი?
1) ნულით 2) ერთიანით 3) ორიანით 4) ცხრიანით

 გ) რა ციფრით ბოლოვდება, მასწავლებლის მიერ დაფაზე დაწერილი ყველა რიცხვის ჯამი?
1) ნულით 2) ერთიანით 3) რვიანით 4) ცხრიანით


2) ნატომ კალენდრის გაკეთება გადაწყვიტა. მან ფურცელზე თორმეტივე თვე ჩამოწერა: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი და ასე შემდეგ. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:


 ა) რისი გაკეთება გადაწყვიტა ნატომ?
1) დღიურის 2) წიგნის 3) კალენდრის 4) ნამცხვრის


 ბ) რამდენი თვის დასახელება ჩამოწერა ნატომ ფურცელზე?
1) ოთხი 2) ექვსი 3) რვი 4) თორმეტი

 გ) ნატოს მიერ ფურცელზე ჩამოწერილი სიტყვებიდან რამდენია ისეთი, რომელშიც 4-ზე ნაკლები ხმოვანია?
1) შვიდი 2) ექვსი 3) ხუთი 4) ოთხი

3) ბებია კალათში ხილს აწვობდა. იგი ყოველ ჯერზე კალათში ოთხ ვაშლს და ხუთ მსხალს დებდა. პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

 ა) ბებია ყოველ ჯერზე რამდენ მსხალს დებდა კალათში?
1) სამს 2) ოთხს 3) ხუთს 4) ექვსს

 ბ) ბებია ყოველ ჯერზე რამდენ ვაშლს დებდა კალათში?
1) სამს 2) ოთხს 3) ხუთს 4) ექვსს

 გ) რამდენი ცალი მსხალი ჩაუდია ბებიას კალათში, თუ მან სულ 45 ცალი ვაშლი და მსხალი ჩადო კალათში?
1) 9 ცალი 2) 20 ცალი 3) 25 ცალი 4) 30 ცალი

4) თომამ დაწერა რიცხვი 851, თემომ კი – რიცხვი 854.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2) ა) რა რიცხვი დაწერა თემომ?
1) რიცხვი 815 2) რიცხვი 851 3) რიცხვი 845 4) რიცხვი 854

2) ბ) რა რიცხვი დაწერა თომამ?
1) რიცხვი 815 2) რიცხვი 851 3) რიცხვი 845 4) რიცხვი 854

7) გ) თომას მიერ დაწერილი რიცხვის უახლოესი ოცეული უფრო მეტია, თუ თემოს მიერ დაწერილი რიცხვის უახლოესი ათეული?
1) თომას 2) თემოს 3) ტოლია 4) ამის გაგება შეუძლებელია

5) მატარებლის შემადგენლობაში 10 ვაგონია. ნოდარი შეცდომით ბოლოდან მესამე ვაგონში ჩაჯდა. გამცილებელმა იგი 2 ვაგონით წინ გადაიყვანა.

პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2) ა) რამდენი ვაგონია მატარებლის შემადგენლობაში?
1) ათი 2) რვა 3) შვიდი 4) ხუთი

5) ბ) ბოლოდან მერამდენეა ის ვაგონი, რომელშიც შეცდომით ჩაჯდა ნოდარი?
1) მეშვიდე 2) მერვე 3) მესამე 4) მეორე

7) გ) წინიდან მერამდენეა ის ვაგონი, რომელშიც ნოდარი გადაიყვანა გამცილებელმა?
1) მეხუთე 2) მეექვსე 3) მეშვიდე 4) მერვე

6) მარიკა, დათო და ნიკა ერთი და იმავე სისწრაფით ჭამენ კანფეტებს. მარიკა 12 წუთის განმავლობაში მიირთმევდა კანფეტებს, დათო – 16 წუთის განმავლობაში, ხოლო ნიკა – 24 წუთის განმავლობაში. ცნობილია, რომ დათომ შეჭამა 4 კანფეტი.


პირობის მიხედვით უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

2) ა) რამდენი წუთის განმავლობაში მიირთმევდა კანფეტებს დათო?
1) 12 წუთის 2) 16 წუთის 3) 24 წუთის 4) 52 წუთის


2) ბ) რამდენი კანფეტი შეჭამა დათომ?
1) 1 კანფეტი 2) 2 კანფეტი 3) 3 კანფეტი 4) 4 კანფეტი

5) გ) რამდენ წუთში ჭამს დათო ერთ კანფეტს?
1) ერთ წუთში 2) სამ წუთში 3) ოთხ წუთში 4) ექვს წუთში


7) დ) რამდენი კანფეტი შეჭამეს მარიკამ და ნიკამ სულ?
1) 3 კანფეტი 2) 6 კანფეტი 3) 9 კანფეტი 4) 36 კანფეტი

-  7) მოსწავლემ რვეულში ოთხი ერთმანეთის მომდევნო რიცხვი ჩაწერა. მათ შორის ერთ-ერთი იყო რიცხვი 3. ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა მცდარი (არასწორი)?
- მოსწავლის მიერ ჩაწერილი რიცხვების ნამრავლი შეიძლება იყოს სამნიშნა რიცხვი;
 - მოსწავლის მიერ ჩაწერილი რიცხვების ნამრავლი შეიძლება იყოს ორნიშნა რიცხვი;
 - მოსწავლის მიერ ჩაწერილი რიცხვების ნამრავლი შეიძლება იყოს ერთნიშნა რიცხვი.

1) ერთი 2) ორი 3) სამი 4) **არცერთი**


-  8) ორშაბათს სალომეს 28 ამოცანა ჰქონდა ამოსახსნელი. მან ამოცანების ნახევარი ამოხსნა. სამშაბათს მასწავლებელმა სალომეს კიდევ 42 ამოცანა მისცა. ამის შემდეგ რამდენი ამოცანით მეტი გაუხდა სალომეს ამოსახსნელი, ვიდრე ჰქონდა ორშაბათს?

1) 14-ით 2) **28-ით** 3) 42-ით 4) 56-ით


-  9) კოტემ 1 კვირის განმავლობაში მხოლოდ 5 დღე უნდა იმეცადინოს. ამ 5 დღის განმავლობაში მას დავალებული აქვს ამოხსნას 20 ამოცანა. ცნობილია, რომ კოტემ ორშაბათს 7 ამოცანა ამოხსნა, სამშაბათს – 3, ოთხშაბათს – 1, ხუთშაბათს კი – 3. ქვემოთ მოცემული რამდენი წინადადებაა ჭეშმარიტი?

- იმისათვის, რომ კოტემ დავალება შეასრულოს მას შეუძლია პარასკევს 1 ამოცანა ამოხსნას, შაბათს კი – 5;
- იმისათვის, რომ კოტემ დავალება შეასრულოს მას შეუძლია პარასკევს და შაბათს ამოცანები არ ამოხსნას, კვირას კი 6 ამოცანა გააკეთოს;
- იმისათვის, რომ კოტემ დავალება შეასრულოს მას შეუძლია მომავალი კვირის პარასკევს 6 ამოცანა ამოხსნას;


1) **ერთი** 2) ორი 3) სამი 4) არც ერთი

-  10) მასწავლებელმა ნუცას რაღაც რიცხვი უთხრა. ნუცამ ეს რიცხვი გაანახევრა, მიღებულ რიცხვს მიუმატა 6 და ამის შემდეგ მიღებული რიცხვი გააორმაგა. რა რიცხვი უთხრა მასწავლებელმა ნუცას, თუ ნუცამ ბოლოს მიიღო 32?

1) 14 2) 16 3) **20** 4) 26

-  11) მაღაზიაში მხოლოდ ლურჯი და შავი ზურგჩანთები იყიდება. გიამ, ვაჟამ და ლადომ თითო-თითო ზურგჩანთა იყიდეს. გიამ და ლადომ სხვადასხვა ფერის ზურგჩანთები იყიდეს, ასევე სხვადასხვა ფერის ზურგჩანთები იყიდეს ვაჟამ და ლადომ. ქვემოთ მოცემული რომელი წინადადებაა ჭეშმარიტი (სწორი)?

- 1) სამივემ სხვადასხვა ფერის ზურგჩანთა იყიდა;
- 2) სამივემ ერთნაირი ფერის ზურგჩანთა იყიდა;
- 3) **გიამ და ვაჟამ ერთნაირი ფერის ზურგჩანთები იყიდეს;**
- 4) გიამ და ვაჟამ სხვადასხვა ფერის ზურგჩანთები იყიდეს.

-  12) ნატომ მაღაზიაში თავისი ფულის ნახევარი და კიდევ 6 ლარი დახარჯა. ამის შემდეგ მას 32 ლარი დარჩა. რამდენი ლარი დარჩებოდა ნატოს თავიდანვე მხოლოდ 20 ლარი რომ დაეხარჯა?

1) 18 ლარი 2) 38 ლარი 3) **56 ლარი** 4) 76 ლარი